შეფასება ...../ 40 ქულა სახელი, გვარი .....

VIII კლასი

ქართული ენა და ლიტერატურა

(5 ქ.) ***ტექსტში დაშვებულია 5 მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული შეცდომა. შეცდომებს ფორმებს ქვეშ ხაზი გაუსვით და გაასწორეთ:***

ცნობილი ქართველი ფერმწერი გიგო გაბაშვილი დაიბადა აჭარის სოფელ ციხისძირში 1862 წელს. იგი ჯერ თბილიში სწავლობდა კერძო სამხატვრო სკოლაში, ხოლო შემდეგ იყო პეტერბურგისა და მიუნხენის სამხატვრო აკადემიების სტუდენტი. გერმანიაში სწავლის პერიოდში მან შეძლო სწვეოდა იტალიას, საბერძნეთს, შუა აზიას, საიდანაც მრავალი ჩანახატი ჩამოიტანა. ამ პერიოდის ერთ-ერთი ფერწერული ტილო 2006 წელს ნიუ-იორკის აუქციონზე მილიონ დოლარად გაიყიდა. როგორც ცნობილია, მე-XIX-ე საუკუნის მეორე ნახევარში ქართველი ახალგაზრდობა სამოციანელთა იდეებზე იზრდებოდა. მომავალი მხატვარის მსოფლმხედველობა სწორედ ამ იდეებისა და დასავლური ხელოვნების ზეგავლენით ჩამოყალიბდა. ფორმით ევროპული მხატვრობა ერთ-ერთმა პირველმა დაამკვიდრა ჩვენში მხატვარმა გიგო გაბაშვილმა და იგი ეროვნული თემატიკით გაამდიდრა. მის სახელს უკავშირდება ძირითადი ფერწერული ჟანრების განვითარება საქართველოში. იგი იყო სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთი ფუძემდებელი და დაარსების თანავე გახდა მისი პირველი პროფესორი. გიგო გაბაშვილმა თავისი პედაგოგიური მოღვაწეობით მნიშვნელოვნათ შეუწყო ხელი ქართველ მხატვართა პროფესიული დონის ამაღლებას.

(5ქ.) ***ტექსტში დაშვებულია 3 მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული და 2 პუნქტუაციური შეცდომა. შეცდომებს ქვეშ ხაზი გაუსვით და გაასწორეთ:***

გიშერი შავი ფერის ქვაა. ძველ ეგვიპტეში მისგან ნელსაცხებელთა კოლოფებს თლიდნენ. გიშერის სამკაულები მრავალ ქვეყანაშია გავრცელებული. ამჟამად იგი წარმოებაშიც გამოიყენება და მისგან ზუსტი ხელსაწყოების ნაწილები მზადდება. უძველესი დროიდან გიშერს უმნიშვნელოვანესი ფუნქცია ჰქონდა. ითვლებოდა რომ იგი ადამიანებს უარყოფითი ენერგიისაგან იცავდა. გიშერი ბევრჯერ დაუწვავთ კიდეც რადგან ფიქრობდნენ, რომ ამით ბნელ ძალებს დევნიდნენ ოჯახებიდან. ჩვენში დღესაც შეამჩნევთ ჩვილის საწოლზედ დამაგრებულ გიშერს, რომელსაც მშობლები საუკეთესო თილისმად სთვლიან.

(10 ქ.) წაიკითხეთ რევაზ ინანიშვილის „სამგორი“:

კოშკის თავზე იდგნენ.
თავადის ასულმა ლამაზად ასწია ხელი:
– ერთი, ორი, სამი.
არტური ღიმილით მიადევნებდა თვალს თავადის ასულის ხელს.
მდინარის იქით, გრძელი მაღალი კბოდის[1] თავზე, ტრიალი მინდორი იწყებოდა.
მიდიოდა ის მინდორი ჰორიზონტამდე ერთფეროვნად, სულ ყვითლად, იქ ოქროსფერი სუფთა ცა კვეთდა. გადაკვეთის სწორ ხაზზე სამი პატარა გორაკი იყო გამწკრივებული..
მზე იმ გორაკების უკან ჩასულიყო და ახლა სამივე მკვეთრად იყო მიხატული ცაზე.
– დააკვირდით, ბატონო არტურ: შუალა გორა ოდნავ მომცროა. იმ შუალასთან ერთი გორა უფრო ახლოსაა, ვიდრე მეორე, ხომ აშკარაა?
– რა თქმა უნდა, – ისევ ეღიმებოდა არტურს.
– იცით, რას ჰყვება ჩვენი ხალხი ამ სამ გორაზე? შუალა გორა ყოფილა მთავრის ქალიშვილი, რა თქმა უნდა, ლამაზი, მზეთუნახავი. ეს ქალიშვილი შეჰყვარებია ორ ვაჟკაცს, ორივე დიდგვაროვანს, ყოვლად შემკულს. ქალიშვილს ვერცერთისთვის ვერ ეთქვა თანხმობა ცოლობაზე. ბოლოს გადაეწყვიტა: გაიქეცით, აი, ამ ველს შემოურბინეთ, ერთმა ამ მხრიდან, მეორემ იმ მხრიდან, და, რომელიც პირველი მოვა, მისი გავხდებიო. გაიქცნენ ჭაბუკები, შემოურბინეს ველს და ხედავს ქალიშვილი, აი, ის, მარცხნიდან წასული, მოდის ადრე, ვისკენაც

[1] კბოდე – მიუდგომელი კლდოვანი ნაპირი მდინარისა.

უფრო ნაკლებად მიუწევდა გული, და შესთხოვა უფალს, ადგილზევე გაექვავებინა სამივე, და აუსრულა უფალმა, გაქვავდნენ სამივენი.
თავადის ასული ოდნავ შეყოვნდა და ისევ მიუბრუნდა არტურს.
– ხომ არის ამ ლეგენდაშიც ლამაზი აზრი, ბატონო არტურ? ქართველები ან ისე ცოცხლობენ, როგორც მათ სურთ, ან სულ არ ცოცხლობენ, გაქვავება ურჩევნიათ ულამაზოდ ყოფნას.
გაღიმებულ არტურს ცრემლების მოწოლამდე მოუნდა პატარა ბავშვსავით მოჰფერებოდა თავადის მშვენიერ ასულს, ეს კი არ შეიძლებოდა – თავადის ასული უკვე თექვსმეტი წლისა იყო – და ამასღა ამბობდა აჩქარებით:
– თქვენთან ყველაფერი ლამაზია, თავადის ასულო, მინდორიც, მთაც, ქვებიც, ბალახებიც.
– რადგან ყველაფერს განწირულების შუქი ადგას, არა?
არტური შეკრთა. ახლა უკვე თავადის ასული იღიმებოდა გამომწვევად. ო, ეს ღიმილი!.. ღმერთო, სად ენახა ასეთი ღიმილი!.. სად ენახა!..
და უცებ მიხვდა:
"ბებერი დედოფლები იღიმებიან ასე".
ორმოცდაშვიდი წლის არტური იმ ღამის ჩანაწერს ამთავრებს სიტყვებით: "ოჰ, ეს ძველი პატარა ხალხები! მე, დიდი ძლიერი ერის შვილს, სიკვდილი მომინდა მთლად ნორჩი თავადის ასულის ამ ღიმილის ქვეშ".

1.იმსჯელეთ, როგორია არტურის დამოკიდებულება თავადის ასულთან (მაქსიმალური ქულა – 2)

_____

_____

_____

_____

_____

_____

2. როგორ ფიქრობთ, რატომ არის ეს სამი პატარა გორაკი სწორედ ჰორიზონტის, ცისა და მიწის გადაკვეთის სწორ ხაზზე გამწკრივებული ? (მაქსიმალური ქულა – 2)

3. ახსენით, რომელი აზრის დასასაბუთებლად ჰყვება თავადის ასული მზეთუნახავის სიყვარულის ისტორიას. (მაქსიმალური ქულა – 2)

4 .თავადის ასულის აზრით, რა ამძაფრებს სილამაზის განცდას? (მაქსიმალური ქულა – 1)

5. დააკვირდით შემდეგ სიტყვებს: „არტური შეკრთა. ახლა უკვე თავადის ასული იღიმებოდა გამომწვევად. ო, ეს ღიმილი!.. ღმერთო, სად ენახა ასეთი ღიმილი!.. სად ენახა!..
და უცებ მიხვდა: "ბებერი დედოფლები იღიმებიან ასე".
ასევე, დააკვირდით არტურის ჩანაწერის დასასრულს და იმსჯელეთ, რისი თქმა სურს ავტორს (ყურადღება მიაქციეთ იმ ფაქტსაც, რომ არტური ორმოცდაშვიდი წლისაა, თავადის ასული კი თექვსმეტის) (მაქსიმალური ქულა – 3)

(10ქ.) დაწერეთ თავისუფალი ესე: მე რომ განათლების მინისტრი ვიყო (სიტყვათა რაოდენობა 150-180)

_____

_____

LOGOS.EDU.GE
INFO@LOGOSI.ORG
+995 32 2 37 63 03
გამსახურდიას გამზ. #34
GAMSAKHURDIA AVE. #34
თბილისი, საქართველო 0160
TBILISI, GEORGIA 0160